№1037 2015 წლის 25 მაისი ქ. თბილისი

ცალკეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის შესახებ

1. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 15^1 მუხლის თანახმად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე:

ა) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 50.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ლამბალო, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 55.21.52.623, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

ბ) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1167.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელი გერგეტი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 74.01.12.434, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

გ) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1897.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხოსპიო, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 63.19.03.086, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

დ) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 293.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი მამზარა, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 65.10.13.368, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

ე) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1358.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ყულალისი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 65.10.14.151, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზ-რუნველყოს მის კომპეტენციაში შემავალი შესაბამისი სარეგისტრაციო ქმედებების კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**